სახელი, გვარი:

მონიშნე სწორი პასუხი.

დავალება N1

ორ ქალაქს შორის მანძილი ავტობუსმა 2სთ-ში გაიარა. რა დროში გაივლიდა იმავე მანძილს, თუ 2-ჯერ მეტი სიჩქარით იმოძრავებდა?

- 4 სთ
- 3 სთ
- 1 სთ
- 5 სთ

დავალება N2

მდინარის დინების სიჩქარე 4კმ/სთ-ია. რა სიჩქარით იმოძრავებს მდინარეში ჩაგდებული ხის ნაფოტი?

- 4 კმ/სთ
- 2 კმ/სთ
- 16 კმ/სთ
- 8 კმ/სთ

დავალება N3

ორი ქალაქიდან, რომელთა შორის მანძილი 280 კმ-ია, ერთმანეთის შესახვედრად ერთდროულად ორი ავტომანქანა გამოვიდა. ავტომანქანები ერთნაირი სიჩქარით მოძრაობდნენ. ქალაქებიდან რა მანძილზე შეხვდებიან ისინი ერთმანეთს?

- 130 კმ
- 100 კმ
- 140 კმ
- 220 კმ

LIVEWORKSHEETS

დავალება N4

კატერის სიჩქარე ტბაში 23 კმ/სთ-ია, მდინარის დინების სიჩქარე კი - 2 კმ/სთ. რა მანძილს გაივლის კატერი დინების მიმართულებით 3 საათში?

70 კმ | 75 კმ | 46 კმ | 69 კმ

დავალება N5

A ნავსადგურიდან გამოსულმა კატერმა მდინარის დინების მიმართულებით 4 სთ იარა და უკან გამობრუნდა. მდინარის დინების სიჩქარეა 2 კმ/სთ, ხოლო კატერის საკუთარი სიჩქარე 20 კმ/სთ. რა მანძილი იქნება კატერსა და A ნავსადგურს შორის კატერის უკან გამობრუნებიდან 3 სთ-ის შემდეგ?

88 კმ | 34 კმ | 54 კმ | 142 კმ

დავალება N6

მდინარის დინების სიჩქარეა 2 კმ/სთ, ხოლო ნავის საკუთარი სიჩქარე 6 კმ/სთ. ბექამ ნავით დინების საწინააღმდეგო მიმართულებით 4 სთ იმგზავრა. რამდენ ხანში დაბრუნდება ბექა უკან?

6 სთ | 4 სთ | 8 სთ | 2 სთ

LIVEWORKSHEETS